



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ნომერი
ქისლავი
№11 (447)
(5779)
2018

„מנורה“
עיתון יהודי
בגוריה

ევრ-აზიის კონგრესი რუსეთში



„მეგობრობა“ დამთავრდა?

29 ოქტომბერს მოსკოვში საზეიმოდ გაიხსნა ევრ-აზიის კონგრესის სოციალურ-კულტურული განვითარების პროექტების ფონდი.

შეკრებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს პიტსბურგის სინაგოგაში მოწყობილი ტერაქტის მსხვერპლთა და თანაგრძნობა გამოუცხადეს დალუპულთა ახლობლებსა და ნათესავებს.

ევრ-აზიის კონგრესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ანტისემიტიზმთან და ქსენოფობიასთან დაუღალავი ბრძოლა. თავის გამოსვლაში ევრ კონგრესის პრეზიდენტი მიხეილ მირილაშვილმა მადლიერება გამოხატა რუსეთის ხელმძღვანელების მიმართ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლისა და კიდევ იმის გამო, რომ რუსეთის ებრაულ თემებს აქვთ საშუალება თავისუფლად მოღვაწეობდნენ.

--ჩვენ გვახსოვს, რომ ყოველთვის არ იყო ასე, დღეს კი შეიძლება რუსეთი იყოს ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნად. იმედი გვაქვს, რომ ვერა-რა გეოპოლიტიკური გართულება ამ სიტუაციას ვერ შეცვლის.

პრეზიდენტმა მ. მირილაშვილმა ისაუბრა რუსულენოვანი ებრაელობის სტატუსზე და აღნიშნა:

--რუსულენოვანმა ებრაელობამ ებრაულ სამყაროში პერიფერიიდან ცენტრალურ, თვალსაჩინო ადგილზე გადაინაცვლა.

შეკრებილთ მიმართეს: მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტმა რობერტ ზინგერმა, ისრაელის ელჩმა რუსეთის ფედერაციაში გარი კორენმა, ევრ კონგრესის გამგეობის თავმჯდომარემ არონ ფრენკელმა, რუსეთის მთავარმა რაბინმა ბერლ ლაზარმა, ეიკ-ის გენერალურმა დირექტორმა ხაიმ ბენ იაკობმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ხიხინაშვილმა და სხვ.

ახლადშექმნილი ფონდის გენერალურმა დირექტორმა ბელა ვალდბერგმა ისაუბრა ფონდის მიერ განსახორციელებელ პროექტებზე.

5-6 ნოემბერს, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა ისრაელის დიასპორისა და იერუსალიმის საქმეთა მინისტრის ზევე ელკინის ინტერვიუ, რუსეთის ათობით წამყვანი საინფორმაციო საშუალება, მათ შორის, სამთავრობო, ებრაული სახელმწიფოს ნეგატიურად წარმოაჩინეს.

5 ნოემბერს ზევე ელკინმა რუსეთელ ჟურნალისტებს ასეთი რა უთხრა?

--იმ შემთხვევაში, თუ სირიელები მიზანში ამოიღებენ და ესერიან ისრაელის ობიექტებს, ისრაელი მზად არის, მოსპოს სირიის კომპლექსი C-300 (ეს უძლიერესი გამანადგურებელი იარაღი რუსეთმა მას შემდეგ უბოძა სირიას, რაც სირიის ტერიტორიაზე რუსეთის სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდეს და 150 მგზავრი დაიღუპა. სირიელი და რუსი სამხედროები თვითმფრინავის ჩამოვარდებას ისრაელს მიაწერენ.რედ)

ზევე ელკინის ამ განცხადებამ რუსულ პრესაში ბომბის აფეთქების ტოლფასი აურზაური გამოიწვია. განცხადების მიმართ გამოვლენილი რეაქცია ეჭვს ალარ ტოვებს: რუსეთის ფედერაციისა და ისრაელის „მეგობრობა“ დამთავრდა. მოსკოვმა ისრაელთან დაუფარავი კონფრონტაციის კურსი აიღო და სახელმწიფო მედია-სტრუქტურების საშუალებით ადრეული ნლებიდან კარგად ნაცნობ ანტისემიტიზმს და ანტისრაელურ კომპანის ეწევა. ეგ არის, რომ დღეს „სიონისტ მტრებს“ „სიონისტდერეგულაჟ“ მოიხსენიებენ.

საყურადღებო მინიშნებას აკეთებს გაზეთ „ზავტრას“ მიმომხილველი ალექსეი ივანოვი: „ზევე ელკინი ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს უახლოესი თანამებრძოლია“.

ერთობ საყურადღებოა ის, ძალიან ნეგატიური რეაქცია რუსეთის მოსახლეობისა, რაც ამ პუბლიკაციებს ახლავს თან. ვინმე ვიტალი შვილი ანატოლისა წერს: სიონისტ აგრესორებთან ბრძოლაში წარმატებას ვუსურვებ ირანის მეზენიტე-მერაკეტებს, აგრესორი უნდა განადგურდეს!

6 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმაც ერთობ ნეგატიურად ისაუბრა ისრაელზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისრაელის ირგვლივ შემოჯარული ტერორისა და ისრაელის სიძულვილში განაფული მეზობლები რუსეთის დიდი მოკავშირენი არიან, მდგომარეობა საკმაოდ რთულია.

თეფილინი და გული

— ებრაელები, რომლებიც დილის ლოცვისას მკლავზე სისტემატიურად იხვევენ თეფილინს, ნაკლებად ექვემდებარებიან გულის დაავადებას — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ქალაქ ცინცინატის (აშშ) უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯის მკვლევარები.

მედიცინის პროფესორი — კარდიოლოგი ჯეკ რუბინ-შტეინი გვაუწყებს, რომ დაკვირვება მიმდინარეობდა 20 ცინცინატელ მამაკაცზე, რომელთა ასაკი 18-24 წელი გახლდათ და ჯანმრთელობას არ უჩიოდნენ. ამათგან ცხრა ხელზე ყოველდღიურად იხვევდა თეფილინს, დანარჩენი თერთმეტი — არა. მკვლევართა გუნდი დილაადრიან ენეოდა ექსპერიმენტს--ყოველი მონაწილის ფიზიოლოგიური მდგომარეობის რეგისტრირებას და ამ მონაცემებს ადარებდა თეფილინის დახვევის შემდეგ (დაახლოებით 30 წუთი) მიღებულ შედეგს. ძირითადად ანალიზის ობიექტი გახლდათ სისხლის შემადგენლობა და მიმოქცევა.

კვლევის შედეგმა აჩვენა, რომ გულის შეტევის რისკი გაცილებით დაბალია იმთ შორის, ვინც თეფილინს სისტემატიურად იხვევს ხელზე.

ცინცინატელი მედიკოსები სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ ორთოდოქს ებრაელთა შორის გულის მწვავე შეტევის რისკი გაცილებით დაბალია, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფებისა. მეცნიერები ამას იმით ხსნიან, რომ თეფილინის ხელზე დახვევის და შემდეგ მოხსნისას, მიმდინარეობს გულის შეტევის სანინააღმდეგო ორგანიზმის ვარჯიშის მსგავსი პროცესი.

პიტსბურგის ებრაელობის რეაქცია



მსოფლიოში აღშფოთება გამოიწვია პენსილვანიის (აშშ) შტატში, პიტსბურგის სინაგოგაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა. შაბათ დილით შეიარაღებული ტერორისტი სინაგოგა „ეც ხაიმში“ შეიჭრა და 11 მლოცველი დახოცა. პიტსბურგის ტაქტიკური თავდაცვის სკოლის ხელმძღვანელმა იონათან შტერნმა პიტსბურგის ებრაელობას შეიარაღებისა და თავდაცვისაკენ მოუწოდა.

— საქმე იმაშია, რომ ჩვენ ომი გვაქვს — თქვა იონათან შტერნმა — ამიტომ გვინდა ყოველი ებრაელი შეიარაღდეს და შეეძლოს იარაღის ხმარება.

საერთაშორისო სააგენტო ლუტერს-ი იტყობინება, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ტაქტიკური თავდაცვის სკოლაში ასობით ებრაელი ჩაენერა.

ევროპის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტმა მოშე (ვიაჩასლავ) კანტორმა განაცხადა: — სამწუხაროდ, ევროპის ებრაელობა ხშირად ხდება ასეთი თავდასხმების მსხვერპლი. ამერიკის ებრაელთა თემს ვთავაზობთ დახმარებას.

მოშე კანტორმა ყურადღება გაამახვილა თავდაცვის ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც ევროპის ებრაელთა კონგრესმა მსოფლიოში გამოჩენილი სპეციალისტების დახმარებით შექმნა.

ებრაული წარმოშობის არი მალერმა, ექთანმა, რომელიც მონაწილეობდა პიტსბურგის ბეით ქნესეთზე თავდასხმისას დაჭრილი ტერორისტის რობერტ ბოუერსის მკურნალობის პროცესში, „ტვიტერის“ თავის გვერდზე დაწერა:

— ბოუერსი პოსპიტალში მოყვანის შემდეგაც ანტისემიტიზმს ლოზუნგებს გაჰყვიროდა. არი მალერმა განაცხადა, მას ისევე ვმკურნალობდით, როგორც სხვა ჩვეულებრივ პაციენტებსაო.

რაბინი იაკობ გაგულა-გაგულაშვილი:

გაჭირვებაში ავისმოსურნესაჲ დაეხმარე და გულის
ნუ იტყენ, თუ მადლიერი არ იქნება!

„მენორას“ რედაქტორის შიკითხვებს პასუხობს ისრაელის ქართველ
ებრაელთა მთავარი რაბინი იაკობ გაგულა (გაგულაშვილი)

დაიბადა ქ. მიხა-ცხაკაიაში (დღევანდელი სენაკი), ხახამ აბრამ გაგულაშვილის ოჯახში. თავად ხახამ აბრამი დიდი რაბინის, ბენციონ ეფრემაშვილის მოწაფე და აღზრდილი გახლავთ. რაბი იაკობი იხსენებს, რომ მეტად ცნობისმოყვარე ბავშვი ყოფილა და მამას სულ თან დასდევდა. ის დღეც კარგად ახსოვს, ისრაელში რეპატრაციის წინ, ვიდრე გზას დაადგებოდა, მამა როგორ შევიდა ბეთ ქნესეთში, სინანულით მოავლი თვალი იქაურობას, მოფერებით გადაუსვა ხელი „სეფერ თორებს“ და თავლცრემლიანი დაემშვიდობა იქაურობას. მანამდე კი თავისი მოძღვრის, ბენციონ ეფრემაშვილის საფლავთან მოიხარა ქედი და მხოლოდ ამის შემდეგ გაუდგინა გზას სადგურისკენ. მარტო ტელმანის ქუჩა კი არა, მთელი სენაკი სინანულით ემშვიდობებოდა.



ლია კრიხერი: იქნებ რაიმე გაიხსენოთ, სენაკში გატარებული თქვენი ბავშვობისა და იქაური ჯამაათის ცხოვრებიდან და კიდევ: როგორ გაჩნდა სურვილი სასულიერო მოღვაწე გამხდარიყავით, მამათქვენი გავლენით, თუ სხვა რაიმე ფაქტორის გამო?

იაკობ გაგულა: ნათლად მახსოვს, ჩემი საბავშვო ბაღის აღმზრდელი ქალბატონი ჟენია, რომელიც სიტბოსა და სიყვარულს თანაბრად უნანილებდა ქართველსაც და არაქართველსაც. დედაჩემის თხოვნით, ჩვენ საერთო საზარეულოდან არ ვიკვებოდით: დედას მიერ სახლიდან გამოტანებულ ქაშერ საჭმელს ვჭამდით. არანაირი წინააღმდეგობა, ან დაცინვა არ ყოფილა, ამ თხოვნას ყველა გაგებით ეკიდებოდა. იქვე ცხოვრობდა შეშის მწეხავი, ხაი ბარიკაშეილი, რომელმაც შემინა, რომ მე, ხუთი წლის ბავშვმა, სიგარეტის ნაწივი ავიღე და პირში ჩავიდე, რომ თანატოლებისთვის თავი მომეწონებინა. მან მამაშვილურად, ალერსით მითხრა: „ნუ ჩქარობ, შვილო, მაგის დროც მოვა“. ის იყო და ის — გავიზარდე, მაგრამ მოწევა არც მიცვლია. რაც შეეხება სენაკის ჯამაათს, იყო მშვიდი თანაარსებობა ქართველობასთან. არც შიდა სათემო უსიამოვნებები ყოფილა. ბავშვებს რომ სალოცავში გვევლო, კი არ გვაიძულებდნენ, ცდილობდნენ დავეინტერესებინეთ. სალოცავის შამაში დამიძახებდა ხოლმე საშაბათო სუფრასთან და მეტყობდა: შვილო იაკობ, აკურთხე ეს კვერცხი და მიირთვიო. დიდი პატივი იყო ამის შემოთავაზება და მხოლოდ ახლა ვათითცნობიერებ, რომ ეს იყო აღზრდის მეთოდი, ჩვენც მათ ტოლებად გვეგრძნო თავი. მაცაც ადგილზე ცხვებოდა და სელოხოთზეც არავის ეზარებოდა მამლის ყვილზე ადგომა. ბავშვობის მოგონებამ გამახსენა, რა მესიზმრა სენაკის დატოვების დამეს. ხეხილის ბაღში აღმოვჩნდი. მწვანე ვაშლებით დახუნძლული ხეები, მინა მწვანე ფოთლებით მოფენილიყო და ცაც კი მწვანე იყო. ორი კველა (ხის დაბალი სკამი) იყო ბაღში. ერთი გრძელწვერა კაცი მომიახლოვდა, მე დაბალ კველაზე დამსვა, თვითონ კი უფრო მაღალზე ჩამოჯდა და მითხრა „საითაც გაგინევიათ, კარგი მომავალი გელით, შენ პირადად ბევრს მიაღწევ“. ბაბუ, მივმათე მე, ვინ ბრძანდებოდა? „ახლა ვერ

გეტყვი, მაგრამ კიდევ შეგხვდება“. მისი წინასწარმეტყველება აგვიხდა: ჩემი ძმა, იცხაკი, ქნესეთის წევრი გახდა. ჩემი და ლელა და უმცროსი ძმა — ისრაელი ტყუპები არიან. ისინიც თავის ცხოვრებას წარმატებით წარმართავენ. ყველა მადლობას ვნირავეთ გამჩენს, რომ დაგვამადლიანა ისრაელში ამოსვლას. ჩვენ ბეერ შევაში დავსახლდით. რამ განაპირობა ჩემი რელიგიური მოღვაწეობა? ალბათ, პირველ რიგში, გარემომ და კიდევ, ჩემმა სიჯიუტემ. 9 წლის ასაკში განვუცხადე მშობლებს, რომ ბნეი ბრაკის იემიჯენს, რომ დაგვამადლიანა ისრაელში ამოსვლას. ეს კი, ნიშნავდა, ოჯახში მხოლოდ სამ კვირაში ერთხელ გამოიშვებდნენ. დედამ სასტიკი უარი განმიცხადა, კალთიდან მოსაწყვეტად არ ვემეტებოდი. ჩემზე სამი წლით უფროსი ძმა, იცხაკიც ავიყოლიე და მშობლები დაგვენდნენ. სწავლას ისეთი მონდომებით დავენაფე, რომ ერთი კლასით გადამახტუნეს და ეს მაშინ, როცა ყველა ვერ უძლებდა სწავლების მოთხოვნებს და ოჯახში ბრუნდებოდნენ. იცხაკსაც ვენმარებოდი და მორალურად ვამხნევებდი.

ლ.კ. იყო ისეთი რამ, რასთან შეგუება გიჭირდა?

ი.გ. ვერ ვეგუებოდი ზოგიერთის ქცევას საზოგადოებაში, ჩემთვის მიუღებელი იყო უხეშობა, რამეთუ ჩვენ სხვა მორალურ ფასეულობებზე ვიზრდებოდით. ხელი მაინც არ ჩამიქნევია, იქონსავლედობა თალმუდი რამის, რამბამისა და სხვათა დრმა კო-მენტარებით. იქიდან გადავედი „პონევიჩის იემიჯამი“, სადაც მოსწავლეებს მხოლოდ 17 წლის ასაკიდან იღებენ, მე კი 16 წლისაც არ ვიყავი. ამის შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში გავაგრძელე სწავლა, რომელსაც ჰარვარდისა და ოქსფორდის დონეს ადარებენ. დიდი გაონები: რაბი შახი, რაბიო სტაიპელერი (რაბი კანეცკის მამა) და მისთანანი, შვიდი წელი გვასწავლიდნენ. 18 წლისა ვიყავი, როცა აშდოდის მთავარი გაბაის, იეუდა იოსებაშვილის თხოვნით, აშდოდის ერთ-ერთი რაიონის სალოცავს ჩავუდექი სათავეში. 22 წლისა დავეკორწინე ბაია ბატონიაშვილზე, გვყავს სამი ქალიშვილი. 26 წლისა გახლდით, როცა აშდოდის რაბანუთის (რელიგიური სასამართლო) საბჭომ საქართველოს ებრაელთა მთავარ რაბინად დამინა. უდაოდ

დიდ აღიარებას ნიშნავდა ჩემთვის, მაგრამ ამის საწინდარი იყო ის. რომ ხელთ მეპყრა ბნეი ბრაკის რაბი კოლოცისა და აშქენაზთა მთავარი რაბინის — მიერ ლანდაუს მიერ ხელმოწერილი დიპლომი.

ლ.კ. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ, როცა ზოგიერთი რაბინად ნოდებული აძლევს თავს იმის უფლებას, რომ სულიერ შეჭირვებაში მყოფთ, საზღაურის საფასურად თითქოსდა ბედის შეცვლას პირდება.

ი.გ. ამგვარი თვითმარქვეების მიმართ, ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს და ნურავინ ნუ ნამოეგება მათ ანკესს, ისინი დემონებს ემსახურებიან. არიან მსოფლიოში ძალიან განსწავლული კაბალისტები, რომელთაც მეცნიერულ დონეზე აქვთ შესწავლილი ასტროლოგია და კაბალა, მაგრამ ისინი არასდროს იკადრებენ გასამრჯელოს აღებს.

ლ.კ. როგორც სოციალურ ქსელში წერენ, წელს შემოდგომის დღესასწაულებზე ბეთ ქნესეთში მომსვლელთა რიცხვი შედარებით ნაკლები გახლდათ. როგორ ახსნით ამას? და კიდევ, მოსახლეობის რამდენ პროცენტზე შეიძლება ეწოდოს მორწმუნე?

ი.გ. არ არის ზუსტი მონაცემები, მაგრამ ბოლო წლებში შეიმჩნევა მორწმუნეთა რიცხვის ზრდა. უბრალოდ რამდენიმე კატეგორიაა, ზოგი ტრადიციების დაცვას მისდევს, ისინი მოქსოვილ ქიპას ატარებენ. არიან ხარიდიმებად ნოდებულნი. იემიჯემბი სწავლის მსურველთა რიცხვი ისეთივეა, როგორც იყო. გოგონებიც სწავლობენ სასულიერო სემინარიებში. ხოლო დღესასწაულებზე უამრავი ხალხია სალოცავებში.

ლ.კ. ცხოვრების ამ ეტაპზე რა მიგაჩნიათ უმთავრესად საქართველოს ებრაელობისთვის?

ი.გ. ისევე, როგორც ჩემი მამა-პაპა მოუწოდებდა თემს ერთიანობისაკენ, ისევე ერთ მუჭად შეკვრა გვაკლია, სადაც გინდა ვიმყოფებოდეთ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ აზრთა სხვადასხვაობა არ იქნება, მაგრამ ამან შუღლი არ უნდა გამოიწვიოს.

ლ.კ. არსებობს მოსაზრება, რომ ისრაელში უნდა იყოს ერთი მთავარი რაბინი, უკიდურეს შემთხვევაში ორი, ერთი აშქენაზი და ერთიც — სეფარდი. რამდენად გამართლებულია სხვადასხვა თემების მთავარ რაბინთა არსებობა?

ი.გ. ალბათ, ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ყველას სურს თემის წინამძღოლად თავისი თემის წარმომადგენელი იხილოს. ეს განპირობებულია მენტალობით, ნეს-ჩვეულებებით, საერთო ენით და ა. შ.

ლ.კ. თქვენ ავირჩიეს ისრაელის ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინად. ეს კი გარკვეულწილად ნიშნავს საქართველოში, რუსეთში, აშშ-ში, თუ სხვა ქვეყნებში მცხოვრებმა საქართველოდან გამოსულმა ებრაელებამ ყური მიუგდოს, გაითვალისწინოს თქვენი რეკომენდაციები. როგორია იგი?

ი.გ. ჩემი მთავარ რაბინად არჩევა უსაფუძვლო არ ყოფილა. ჯერ კიდევ 13 წლის წინათ, ხახამ რაფაელ ელამვილის გარდაცვალების შემდეგ, დამასახლეს მთავარ რაბინად. მე ჩემს კანდიდატურას აცოლებს მივეცი, რამეთუ მიმანდა, რომ ეს თანადადებობა

ჩემზე უფროს ადამიანს და საკმაოდ ავტორიტეტულ ხახამ მოშე მიხელაშვილს უნდა დაეკავებინა. იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი: მე რვა წელი მოვანდომე და რთული გამოცდები ჩავაბარე დაიანის ნოდებისთვის, რაც უფლებას მაძლევს მრავალი სადაო საკითხები გავარჩიო.

ლ.კ. და თქვენ უფლებამოსილი ხართ ყველანაირი სასამართლო საკითხები გადაწყვიტოთ საკუთრი შეხედულებით?

ი.გ. რა თქმა უნდა, არა. არის საკითხები, რომელთაც მარტო მე ვწყვეტ და არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტისას საბჭოს დახმარება მჭირდება. ეს შეიძლება იყოს ცოლ-ქმრული უთანხმოებები, საბანკო ანგარიშები, ან მემკვიდრეობის გაყოფა. მინდა ავლენიშო, რომ არავის არ ექნება შეღავათი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი თემის შვილია. იყო შემთხვევა, როცა ერთმა ქალბატონმა დამალა, რომ „გეთი“ არ ჰქონდა და ისე გათხოვდა. ამ ქორწინებაში დაბადებული ბავშვი კი უკანონოდ ითვლება ანუ „მამზერად“. როდესაც საქართველოდან მოვითხოვე დამადასტურებელი საბუთები, ამ ქალბატონისგან მუქარა და მკაცრი მოთხოვნა მომივიდა, რომ საქართველოს ებრაელთა ინტერესები უნდა დავიცვა და არა კანონები. გამოგოცყდებით, უკან არ დამიხევია, მაგრამ მღელვარების ნიადაგზე მას შემდეგ დიაბეტის რთული ფორმა მაქვს.

48 წლისა უკვე იერუსალიმის რელიგიური სასამართლოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. საერთოდ მინდა ყველამ გაითვალისწინოს, რომ როგორც იურიდიული, ასევე რელიგიური კანონის წინაშე ყველა ერთია. გარდა ზემოთქმულისა, მე ვარ ავტორი რამდენიმე წიგნისა, როგორცაა „კომენტარი თორაზე“, „აგადა“, „ალვის ხის ცრემლები“, ჰალახის გარჩევის პირველი ნაწილი 124 თავისაგან შესდგება და მეორე ნაწილი 208 თავისაგან. ჯერჯერობით არა არის ნათარგმნი ქართულად. მგლოვიარეთა ნეს-ჩვეულებები და მიცვალებულის ნესის აგება. ხშირად ვაქვეყნებდი პერიოდულ გამოცემებში, „რწმენის წყარო“, „ჩვენი საუნიჯე“.

ლ.კ. საქართველოს ებრაელთა ეროვნულ-რელიგიური იდენტობის გადარჩენას, დღემდე მოღწევას, ჩვენს სასულიერო პირებსაც უნდა ვუმაღლოდეთ. გვყავდა მთელი კოპორტა ჩინებული რაბინებისა, რომლებიც თავიანთი ცხოვრების წესით, ზნეობრიობის მაგალითს აძლევდნენ ჯამაათს. როგორ ვახანგრძლივებთ მათ სსოვლას?

ი.გ. ჩვენი ვალია და მისია, რომ რელიგიური სასწავლებლები ატარებდნენ მათ სახელს. მე პირადად, ყოველ ჩემს გამოსვლაში ვცდილობ უკვდავყო მათი სახელები. დანაშაულია მომავალმა თაობებმა არ იცოდნენ მათი ღვაწლისა და შეიძლება ითქვას საგმირო საქმეების შესახებ. არ მინდა ვინმე გამომრჩეს, მაგრამ ზოგიერთს მაინც დავასახელებ: აბრამ ხვოლესი, ბენციონ ეფრემაშვილი, მოშე რიჟინაშვილი, რეუვენ ელუაშვილი, ირმიაუ ხახიაშვილი და სხვა. საამაყოდ ისიც კმარა, რომ არქივში ინახება თბილისის რაბინების მიწერ-მოწერა რაბი ელიაუ მიზრახისთან თურქეთში (რაბი იოსეფ ტაროს წინათაობა, რომელიც შულხან არუხის ავტორია). ან ის ფაქტი, რომ ბიზნესმენმა ძმებმა ელავილებმა გაუგზავნეს შეკითხვები რაბი შიმონ ბენ ცემახს, ტუნიისის მთავარ რაბინს და რამბამს. ეჭვი არ მეპარება, რომ ქართული თემი შეინარჩუნებს და გაუფრთხოვდება მათ სახელებს. ლ.კ. თქვენ ერთობ კარგი მჭერმეტყველი ხართ. თქვენი კვირის ფარაშები კარგად იკითხება. თქვენი ერთ-ერთი საზრუნავია მომავალი. როგორია ჩვენი თემის შვილებში სწრაფვა, გახ-

დნენ სასულიერო პირები. არის თუ არა შექმნილი სათანადო პირობები ახალი თაობის აღსაზრდელად?

ი. გ. ახალგაზრდებში ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი ძალიან დაბალია. არა მგონია, მათ ქართულად მართონ თემის საქმეები, მაგრამ სასულიერო პირების როდენობა არ იკლებს, პირიქით.

ლ. კ. თქვენ მეტნაკლებად იცნობთ თბილისის ჯამაათის ცხოვრებას. როგორ შეაფასებდით იმ ფაქტს, რომ საქართველოში არ არის მთავარი რაბინი. ნუთუ, მართლა არ არის საჭირო?

ი. გ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართულენოვანი ებრაელები სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ: რუსეთში; შეერთებულ შტატებში, ბელგიაში, თუ ავსტრიაში, მათ მთავარი რაბინად მე ვითვლები, მაგრამ თუ თბილისში აირჩევენ, არ იქნება ურიცხო.

ლ. კ. ცნობილია ბიზნესმენებმა: მიხო მირილაშვილმა, თემურ ხიხინაშვილმა, რომან შალვაშვილმა და იოსკა მამისთვალაშვილმა 2011 წლის აპრილში თელ-ავივის „სიტი ტაუერში“ საზეიმოდ აღნიშნეს თქვენი გადარჩენა. მკითხველისთვის რომ ნათელი

იყოს, რა გადარჩენაზეა ლაპარაკი?

ი. გ. ეს მართლაც, გახმაურებული ამბავი იყო. 2010 წლის ნოემბერში მომთავსეს ქ. ტვერიის საავადმყოფოში გულის უკიდურესად მძიმე ინფარქტით. 22 წუთი ტვენს ჟანგბადი არ მიენოდებოდა. პარამედიკები ცდილობდნენ ხელოვნურ სუნთქვაზე გადაეყვანე, ეგონათ, მე უკვე აღარაფერი მესმოდა, მაგრამ მე ვგრძნობდი როგორ დაცილდა სხეული სულს და ამ დროს სამი დიდი რაბი ლოცულობდა და შესთხოვდნენ გამჩენს ჩემ გადარჩენას, ესენი იყვნენ რაბი საიმ ელიაშვილი, იაკობ დავარაშვილი და რაფაელ ელაშვილი. მე ვტიროდი და მესმოდა, როგორ უთხრა რ. ელაშვილმა იაკობ დავარაშვილს, ილოცე გადარჩე, ეგ ხომ შენი მოსახელეა, ხოლო პასუხად მიიღო, გააძლიერე ლოცვა, ის ხომ შენი მემკვიდრეა. ამ დროს ელექტრო შოკით ამიმუშავეს გული.

ლ. კ. იაკობ ბატონო, იქნებ, გენბავთ რაიმეს დამატება?

ი. გ. ვისაგებლებ შემთხვევით და დაგვიანებით, მაგრამ ნრფელი გულით მივულოცავ საქართველოსა და ქართველ ხალხს დამოუკიდებლობის ასი წლისთავს. „სიკეთის არ გადამხ-

ისრაელის სეფარად ებრაელთა მთავარი რაბინი მოშე შლომო ამართან ერთად



დელს, არ მოშორდება ჭირია“ გვმოდღვრავს სოლომონ ბრძენი. ამ სიტყვებით დავასრულე ჩემი გამოცვლა მის უნმინდესობასთან, პატრიარქ ილია მეორესთან და დავაყოლე დავით მეფის ფსალმუნდანი, რომ ჩიტიც კი იპოვის თავის ბუდეებს. ასე დავბრუნდი ჩვენ სამშობლოში.

ლ. კ. გმადლობთ, რაბი იაკობ,

კეთილად ბრძანდებოდეთ!

„მენორას“ რედაქცია მადლობას მოახსენებს გაზეთის მეგობარს, აქტიურ და უშურველ ქალბატონს, ღირსების ორდენის კავალერს ლია კრიხელს რიაბი იაკობ გავულასთან ინტერვიუს ჩანერაში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ისრაელში პირველი ქართული ცოდნის ტაძრის კარი ღიაა



6 ოქტომბერი. ამ დღეს დაიწყო ახალი ერა ქართულ-ებრაულ 26 საუკუნოვან, უნიკალურ ურთიერთობაში - ისრაელში, რამდენიმე თვის წინ გახსნილმა ქართულმა საკვირაო სკოლამ პირველი სასწავლო წლის, პირველი ზარი შემოჰკრა. ამ სკოლაში, ისრაელში მცხოვრები, „დედაენა დავინყებულნი“ ქართველი ბავშვები, ებრაელ გოგო-ბიჭებთან ერთად დაეწაფებიან ანა-ბანას, საქართველოს ისტორიას, ქართულ კულტურასა და ქართულ-ებრაულ ღრმად გამდგარ ფესვებს. დიახ, ლოდში, სადაც ქართველ ქრისტიანთა ერთ-ერთი უნმინდესი სალოცავი, წმინდა გიორგის ტაძარი მდებარეობს, 6 ოქტომბრის მზიან დილას, „ქართულ სახლში“ საქართველოს ჰიმნი აგუგუნდა და დიასპორული ორგანიზაციის „მამულის“ ხელმძღვანელმა ირაკლი კილაძემ პირველი ქართული საკვირაო სკოლის, პირველი სასწავლო წელი გახსნილად გამოაცხადა. „ბედნიერია ის ქართველი, ვინც ამ დღეს მოესწრო, უფრო ბედნიერი - ვისაც ამ საშვილიშვილო საქმეში მცირედი წვლილი მაინც მიუძღვის და უბედნიერესი, ვინც ამ საქმეს საფუძველი ჩაუყარა და თქვენთან ერთად მის მშვენიერ ნაყოფს მოეღოს“ - მიმართა დამსწრეთ ბატონმა ირაკლიმ.

ისტორიული დღე და ზეიმი ისრაელში საქართველოს ელჩმა პაატა კალანდაძემ გახსნა. მისი სიტყვა იყო ერთდროულად ოფიციალურიც, საქმიანიც, შინაურულიც და გულამაჩუყებელიც - გულწრფელი მადლიერებით აღსავსე გულითადად და უპირობო მხარდაჭერისთვის, ისრაელის სახელმწიფოს, ქალაქ ლოდის მერიის, საქართველოს საპატრიარქოს, ისრაელის სამხრეთ რეგიონში საქართველოს საპატიო კონსულის ბატონი მენი ბენიშის და საქართველოს ისრაელელი ყველა მეგობრის მიმართ. საკვირაო სკოლის პირველი გაკვეთილის გახსნის ზეიმზე გამომსვლელები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, სასიკეთო დაპირებებს იძლეოდნენ, ხუმრობდნენ, მაგრამ, როცა სკოლის დამფუძნებლებმა „ქართული სახლის“ ეზოში დასარგავად კაკლის ხის ნერგი გამოიტანეს, დამსწრეთ სიხარულის ცრემლები წასკდათ. ბავშვებმა თავისი პატარა ხელებით დარგეს მათი სწავლის სიმბოლო. ქართული საკვირაო სკოლის სიაში დღეს 25 ბავშვია. პირველი ზარის დღეს მშობლებმა ისინი უმცროს დებთან და ძმებთან ერთად მოიყვანეს, რათა იმ უმცროსებისთვისაც ეჩვენებინათ, რომ სულ ორიოდ წელში მათაც სასწავლებლად ამ შესანიშნავ ტაძარში მიიყვანდნენ.

ნერგი დარგულია, ცოდნის კარი ღიაა, ბავშვები მერხებთან სხედან. ახლა მათზე ზრუნვა ყველა ჩვენთაგანის ვალია!

მეგობრობის გზებზე

15-19 აპრილს, მწერლები ბალათერ არაბული და ნოდარ კობერიძე „გულთა კავშირის“ მიერ მიწვეული იყო ისრაელში.

გთავაზობთ ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებებით შთაგონებულ ბალათერ არაბულის ახალ ლექსს.



შალომ, ისრაელ!

ჩვენს მეგობრებს - ქართველ ებრაელებს:

ნანა დავარს (შაბათაშვილს), რობერტ ადარს (აჯიაშვილს), აბრაჰამ პაატა იოსებს (იოსებაშვილს), ნუგზარ ჯანაშვილს, შალვა წინუაშვილს, მერაბ მიხელაშვილს და სხვებს.

1. ღმერთმა მშვიდობა არ მოგიშალათ, შალომ, ისრაელ, ისრაელ, შალომ!..

რადგან თქვენ გვეგულებით ჭეშმარიტ ძმებად, ჩვენ არ დაგვიწყია სხვა ძმების ძებნა...

იყო ქართველი თუ კრთომა მნათობის ჩვენ მუდამ ერთმანეთს გულებით ვათობდით...

მუდამ თანადგომით და მთელი არსებით ერთმანეთს ვეძებდით, ერთმანეთს ვავსებდით...

დღეს ჩვენს დიდ წინაპრებს ვიგონებთ და ვითვლით მათ სიბრძენს და რწმენას მოსეს და დავითის...

აღმაშენებელის, თამარის, რუსთველის, ერისთვის თავგანწირვას გმირების - უთვლელის...

დღეს ღმერთმა გვაშოროს დრო უნდო, საშარო, შალომ ისრაელ, ისრაელ, შალომ!..

შობიდან ჩვენ ბედი გვებედა ასეთი: რამდენჯერ დავემხეთ, იმდენჯერ ავღზვედით...

აროდეს დავცემულვართ არც რწმენით, არც სულით და ჩვენი ძეგლია ჩვენივე წარსული...

ხან ციურ სხივებად, ხან დარდად და ცრემლად ჩვენ ბევრჯერ განვიცაადეთ აღმასვლაც, დაცემაც...

ერთმანეთს ვამტკიცებდით იმედით და რწმენით, თქვენ - სინაგოგებით, ჩვენ - ჩვენი ტაძრებით...

ლოცვისთვის, რაც ღმერთმა გვიბოძა, ყოველით, გოდების კედელით და სვეტიცხოველით...

ჩვენი წინაპრების საფლავ-სამარხებით, მთა-გორე-ველ-მინდვრებით, წყალ-ჭალა-სანახებით...

მიტოვებულ სახლ-კარის სევდიანი კედლებით და უკვდავი სინათლით - ნაზარეთის, ბეთლემის...

უკვე ჩავლილ ბავშვობის ოცნებებით მზისფერით, სიზმრებში ჩარჩენილი ხსოვნის ოაზისებით...

ზეცით - გადაჭორფლილით ვარსკვლავების ქვირითით, ჩემი ტკბილი ქართულით, შენი ტკბილი ივრითით...

იმ ყველაფრით, ჩვენ რითაც ვცხოვრობთ ანდა ვცხოვრობდით: სიყვარულით, სიკეთით და არა სიბოროტით...

2. იყო ქარიშხალი თუ გზებზე იყო დელგმა ჩვენ ერთად ვიყავით ყოველთვის, ყველგან...

ჩვენ სული გვეკონდა მხედრის და პოეტის და დღემდე გმირული ბრძოლებით მოვედით...

გონების სალბუნი და სულის თრთოლვა ჩემთვის იყო ბიბლია და შენთვის კი - თორა...

დღეს ველარ შეძლებენ ეს ძმობა წაშალონ, შალომ, ისრაელ, ისრაელ, შალომ!

კოპოზიტორი იოსებ



მაზალ ტოვ ლე-70, ძმაო სოსო!

ჩემი ცხოვრების შემოქმედებითი კოლეგა, ძმა და მეგობარი სოსო ბარდანაშვილი, ჩემსავით, ისრაელის სახელმწიფოს დაარსების 1948 წელს დაიბადა. ძნელი დასაჯერია, რომ ეს "ხანდაზმული" და სახელოვანი ადამიანი ისევე იმ ახალგაზრდული ენერჯით და უნიკალური შრომისუნარიანობით ქმნის ორ-აქტიან ოპერას ებრაულ კლასიკურ-კაბალისტურ სიუჟეტზე "დიბუკი", რომლის პირველი აქტი თითქმის დაამთავრა და, ჩვენს ახალგაზრდობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციის მიხედვით, პირველს მე მომასმენინა. და ჩემის აზრით, ისრაელის ოპერას ელოდება კიდევ ერთი შედეგრი, არანაკლები სოსოს პირველი ოპერისა „მილენიუმი“, ალფ - ბეთ იემუას ლიბრეტოს მიხედვით, აგებული ებრაული ხალხის მე-10-11 საუკუნეების საზღვარზე მომხდარ ტრაგიკულ ამბავზე.

ოპერა დიდი წარმატებით დაიდგა 2008 წ. ისრაელის საოპერო სცენაზე, და ფაქტურად იქცა პირველ ებრაულ ეროვნულ ოპერად, აღმოცენებულ ღრმა რელიგიურ-მუსიკალურ ინტონაციაზე, წარმოდგენილი ამკენაზურ და სეფარადულ ხაზანუთში.

ეს ოპერა წარდგენილი იყო ოპერის სამშობლოში - იტალიაში და იქაც დიდი წარმატება ხვდა წილად.

აფერუმ, ჩემო ძმაო!

და ღმ-თის წყალობით, ხანგრძლივი და ჯამრთელი სიცოცხლე გქონოდა, შენი მარგალიტი ცოლ-შვილით, ცხოვრებაში და შენს ხელოვნებაში!

რეჟისორი კაპილოტი

არ მეგონა, თუ ჩემი საყვარელი სოსო 70 წელს უახლოვდებოდა.

ჩემო სოსო, მე უკვე 84-ეში გადავბიჯე, შენ კი ისევე იმ ყმანვილად მიმაჩნისხარ, როგორც ადრეული წლებიდან მახსოვხარ. დროთა განმავლობაში, წლები რომ გარბის, ასაკთა შორის დისტანცია იშლება, სხვადასხვა ასაკის ადამიანები ასაკითაც უახლოვდებიან ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, დღეს მაინც ბევრად ახალგაზრდად მიმაჩნისხარ, ვიდრე შვიდი ათეული წელია. ამის დამადასტურებელი შენი ბრწყინვალე შემოქმედებაა.

გილოცავ, ჩემო სოსო, ვულოცავ შენს მრავალრიცხოვან ოჯახს!

გისურვებ ჯანმრთელობას, შემოქმედებით სიხარულს, ბედნიერებას!

ბია ყანჩალი

სოსო ბარდანაშვილის შემოქმედებას დიდი ხანია ვაქცევდი ყურადღებას და ძალიან მომწონდა. მე ვთვლი, რომ ის ერთ-ერთი, გამორჩეულად ნიჭიერი კომპოზიტორია. სოსო ქმნის, როგორც ძალიან საინტერესო და სერიოზულ, კლასიკურ ნაწარმოებებს, მას ასევე დიდი ღვაწლი აქვს ქართულ კინოში. კერძოდ, სოსო ბარდანაშვილი კომპოზიტორია გიორგი შენგელაიას ფილმის - „სიყვარული ყველას უნდა“, გიორგი ოვაშვილის ფილმის - „გალმა ნაპირის“ და ბევრი სხვა ფილმის...

როდესაც, ჩემი ახალი ფილმის - „სავარძლის“ გადაღებაზე ვფიქრობდი, თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ ამ ფილმის მუსიკას სოსო დანერგოს, თუმცა, თითქმის ჩემი ყველა ფილმი გია ყანჩელთან და ჯანო კახიძესთან ერთად გავაკეთე და მიჩვეული ვიყავი მათთან მუშაობას. მინდა გითხრა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ სოსოსთან მუშაობით და ვფიქრობ, რომ მან შესანიშნავი მუსიკა დანერგა ჩემი ფილმისთვის. რაც შეეხება სოსოს პიროვნებას, იგი ძალიან თბილი და მოსიყვარულე ადამიანია.

ჩემო სოსო, გილოცავ ამ შესანიშნავ იუბილეს, გიხსნი სიყვარულს და ეჭვი არ მეპარება, რომ წინ უამრავი წარმატება გეყოს!

შენი - ელდარ შენგელია

სიტყვა 70 წლის მეგობარზე

იოსებ ბარდანაშვილი საბჭოური ხელოვნების იმ წარმომადგენლთა რიგს მიეკუთვნება, რომლებმაც კონსერვატიული შეხედულებების შემოტევას გაუძღეს და თანამედროვე მუსიკალურ ხელოვნებაში ავანგარდულ მიმართულებას ჩაუყარეს საფუძველი. დღევანდელი მუსიკალური სამყარო წარმოუდგენელია ი.ბარდანაშვილის ოპერის „მოხეტიალე ვარსკვლავების“, როკოპერის „ალტერნატივა“, როკბალეტის „მასწავლებელი“ და სხვ. ამ და მის სხვა ნაწარმოებებს ასრულებენ საქართველოსა და ისრაელის ფილარმონიული და სიმფონიური ორკესტრები. მსმენელზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ი.ბარდანაშვილის „ადაჟიომ“ სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის ორკესტრის მიერ შესრულებულმა, მსოფლიოში აღიარებული დირიჟორის ვალერი გერგეივის ხელმძღვანელობით. ი. ბარდანაშვილის ნაწარმოებები ხშირად სრულდება გერმანიის, აშშ-ს, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების საკონცერტო დარბაზებში. მას ერთნაირად ხელეწიფება საერო და სასულიერო ნაწარმოებების შექმნა. მის ქმნილებებებში შესამჩნევია ქართული მუსიკალური სკოლის გავლენა, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ლირიკული დახვეწილობით და თვითმყოფადობით. მის სასულიერო ქმნილებებში ადვილად იკითხება „შმა ისრაელის“ ზოგადკაცობრიული ფორმულა, რომელიც ქვეყნიერების ერთადერთი გამგებლის განუმეორებელი ჟღერადობის საგალობელს წარმოადგენს.

ხშირად დავფიქრებულვარ, რა არის საფუძველი ი.ბარდანაშვილის ტალანტისა, რით არის განპირობებული მისი ასეთი წარმატება. პასუხი ცალსახაა: მისი ტალანტი სათავეს იღებს მისსავე გენეტიკურ კოდში. დღესაც თვალწინ მიდგას მისი დედა, ქ-ნი სარა--სათნო ებრაელი ქალი, მახსოვს, მისი მამა--ბ-ნი იუზა, ღვთისმომბიძარი და მოყვარული კაცი ფერმწერის ნიჭით რომ გახლდათ დაჯილდოებული. მისი ფერწერული ტილოები მნახველთა აღტაცებას იწვევს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, სოსოს ძვირფასი, მისი თანამოაზრე ოჯახი-- მეუღლე ქ-ნი მაია--ისრაელის სამედიცინო საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილი ექიმი, შვილები და შვილიშვილები.

ი.ბარდანაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ს. რუბინის მუსიკალურ აკადემიაში(თელ-ავივი).

ჩემო სოსო, ჩემო ძმაო, გულითადად გილოცავ 70 წლის იუბილეს, უნდა გამოგიტყდე: ვამაყობ შენით, თუმცა ამგვარი, სიამაყის საფუძველი თვით-ველ ქართველს, თვითოეულ ქართველ ებრაელს გააჩნია--ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია ზნეობრიობა, კაცურკაცობა და პროფესიონალიზმი.

მერაბ სარაძე-იზრაელაშვილი

სოსო ძვირფასო, შენ უკვე სიჭარმაგის ასაკში შედგი ფეხი, გილოცავ! ამ ასაკში დიდი შემოქმედებითი წარმატებით შეხვედი.

შენ ის შემოქმედი ხარ, რომელმაც ორი ეროს მრავალსაუკუნოვანი კულტურა შეისრულე, გაითავისე, შენებურად გადახარშე და უანგაროდ გაეცი, რომ ყველას შეეძლოს მისი განცდა და შენი შემოქმედებით დიდი სიამოვნების მიღება.

დიდია შენი დამსახურება ქართული კინოს, თეატრის და საერთოდ, ქართული კულტურის წინაშე. მე არასოდეს დამავინწყდება ჩვენი ერთობლივი მუშაობა დოკუმენტურ ფილმებზე „დაგვიანებული კადიში“ და „იმ იქსახეხ, იერუშალია!“ („თუ დაგვიწყნო, იერუშალია!“), არასოდეს დამავინწყდება ის შესანიშნავი, სევდითა და რწმენით აღვსილი სიმღერა, რომელიც ამ ფილმის ფინალში ჟღერს.

კიდევ ბევრ წარმატებას, ხანგრძლივ, სიკეთით აღვსილ სიცოცხლეს და მრავალ გამარჯვებას გისურვებ, ჩემო სოსო!

სიყვარულით შენი მერაბ კოპოჩაშვილი

სოსო ბარდანაშვილის მუსიკა პირველივე აკორდიდანვე გიყვარდება, მეც ასე დამემართა, როდესაც ჯერ კიდევ 1976 წელს პირველად მოვისმინე მისი როკ ოპერა „ალტერნატივა“, დღემდე შემიძლია ამ ოპერიდან მუსიკალური თემები ნავიძღერო მისი მუსიკის გარეშე ვერ წარმომიდგენია ჩემი სპექტაკლები „გეტ-ტო“ და „რევიზორი“, ამ ორ სპექტაკლში ჟღერს სოსოს მუსიკა და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ბარდანაშვილთან მუშაობა ბედნიერებაა, რადგანაც სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ის ხდება შენი თანამზრახველი, ცდილობს ზუსტად გამოიცნოს არა მარტო ჟანრი და ატმოსფერო, ღრმად ჩასწვდეს რეჟისორულ გადაწყვეტას, რეჟისორის პირად სათქმელს და მხოლოდ მერე იწყებს ისეთი ჯადოსნური მუსიკის შექმნას, რომელიც თვითონ გკარნახობს რეპეტიციებზე მიზანსცენებს. მიყვარს ბარდანაშვილის კინომუსიკაც და მიყვარს მისი ღრმა, ემოციური სიმფონიებიც, ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია მისი კამერული მუსიკა, მისი ტრიოები და კვარტეტები, მაგრამ ამაზე მუსიკათმცოდნეებმა ილაპარაკონ, მე მინდა დღეს, მის საიუბილეო დღეებში, მხოლოდ მივულოცო მას და ვუსურვო კიდევ დიდი ხნის სიცოცხლე და ჯამრთელობა, რათა მან კიდევ დიდხანს ასახელოს ჩვენი საქართველო, დიას სწორედ საქართველო და მე შეამაყება, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს ასეთი კომპოზიტორი და ასეთი მოქალაქე, რადგანაც სოსო ბარდანაშვილი სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და მუშაობდეს, ის ყოველთვის იქნება ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილი.

ასთანადილ ვარსიანაშვილი

2011 წელს იოსებ ბარდანაშვილის რამდენიმე ნაწარმოები აფხაზური ლეგენდის მიხედვით ჩემს მიერ დადგმულ თანამედროვე ბალეტ „აჭარპანში“ გვქონდა გამოყენებული. 2014 წელს მუხტი, რომელმაც ახალი ქორეოგრაფიული ჩანაფიქრი განაპირობა, დათო ტურაშვილის „გურჯი-ხათუნი“ გახდა. თამარ მეფის შვილიშვილის — გურჯი-ხათუნის ამბავს სხვადასხვა პერსონაჟებისა საოცრად გულწრფელად, ემოციურად და ცოცხლად მოგვითხრობენ. დროის მოკლე მონაკვეთში მოცეკვავეთა ქოროსა და ოთხი ძირითადი პერსონაჟის გრძნობებით, განცდებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებითა და განწყობების ცვლით ორი კულტურისა და განსხვავებული სამყაროს შერწყმა უნდა მომხერხებინა. ამისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა მუსიკას ენიჭებოდა და სწორედ ასეთ ღრმა, მდიდარ დაფერადმუსიკალურ სამყაროს, ამგვარი ენერჯისა და სიფაქიზის სინთეზს ვხედავდი „გურჯი-ხათუნისთვის“, როგორც იოსებ ბარდანაშვილის მუსიკაა. ბატონმა სოსომ საოცრად მასშტაბური და ფილოსოფიური მუსიკალური პალიტრა შექმნა, სადაც კამერული, სიმფონიური და საგუნდო ნაწარმოებების პარამონიული შერწყმით სხვადასხვა მუსიკალური სახეა გამოვლენილი. ბატონმა სოსომ „გურჯი-ხათუნში“ ჯემალ აჯიაშვილის ტექსტზე შექმნილი არაჩვეულებრივი ფსალმუნი გამოიყენა, რომელიც თავდაპირველად გიორგიალექსიძის ბალეტისათვის ჰქონდა დაწერილი და რომლის სცენაზე დადგმა თავის დროზე, ურთულესი 90-იანი წლების პირობებში ვერ მოხერხდა.

ამჟამად ჩაფიქრებული მაქვს, რომ ბატონმა სოსომ ჩემი ახალი თანამედროვე ბალეტის საავტორო მუსიკა შექმნას. იდეაზე მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს, ამიტომ სულმოუთქმელად ველი იოსებ ბარდანაშვილის მუსიკალურ სამყაროსთან კვლავ შეხვედრას.

მარიამ ალაქსიძე

ქორეოგრაფი, გიორგი ალექსიძის სახ. „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დასის სამხატვრო ხელმძღვანელი

ბარდანაშვილი 70 წლისაა

ფესტივალი, "თბილისი — თანამედროვე მუსიკის სალამოების" (იმართება 2005 წლიდან) არსებობის ერთ-ერთი განმსაღვრელი ნიშანი, როგორც ოლივიე მესიანი ფრანცისკ ასი-ზელზე ამბობდა: „ღარიბი იყო, და ალბათ, უღარიბესიც; იგი თავის პატარა სენაკს სიცოცხლის ბოლომდე ქალბატონ სილარიბეს და დას-- წმინდა სიმნიერს უყოფდაო და რომ სილარიბე იყო მისი არსების ერთ-ერთი განმსაღვრელი ნიშანი“;



მაგრამ მაინც, წელსაც, შევძელით-- ექვს სალამოდ შევკარით და ჩვენი სალამოების პატარა სენაკში, კონსერვატორიის მცირე დარბაზში წარმოვადგინეთ: „გული და სიტყვა, საქმე და სიცოცხლე: ექვს მუსიკოსს — პატივისცემის ნიშნად“, და გული გვწყდება ვერშემდგარ მეექვსე სალამოზე: „იოსებ ბარდანაშვილი — პირველი ნაბიჯები“.

სალამო შევცვალეთ ერთი გრაფიკული ნახატი (ანუ ავტოპორტრეტით) და იგი ამშვენებს ჩვენი სამახსოვრო წიგნის პირველსავე გვერდს: საქანელა. საქანელაზე ფეხშიშველი. თავზე ფიროსმანის „შლიაბა“. შუბერტის სერთუკი. (ბოლომდე ღილებშეკრული). იატაკზე არყის ბოთლი. ცარიელი. ნიშანი ბოჰემის, ან რაღაც ამდაგვარის. იატაკსმიყუდებული ჩვენი მშობლიური ყანწი. იქვე ვისკის ბოთლი. რა თქმა უნდა, ცარიელი. ქვემოთ ხელმონერა: ი. ბარდანაშვილი.

და გამოცარიელებული იატაკის კარნიზზე თარიღი: 2011 (ჩვენი ბათ-იამელი სოსოს ნოსტალგია ბათუმზე, თბილისზე, თბილისში მიმავალ ლამის მატარებელზე, ჩვენს დიდებულ კონსერვატორიის მცირე დარბაზზე, ნანაზე, გოგიზე).

დავიძაბებით და ჩვენი შემდეგი წლის ფესტივალზე, „თბილისი — 2019“ წარმოვადგინებ ბარდანაშვილი-მხატვრის (იქნებ, ბარდანაშვილების!) ნახატების გამოფენას და, დაგვიანებით, ჩვენი ფესტივალის მეგობარი ისრაელის მუსიკოსების მონაწილეობით — კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი 70: სოსო ნანას რეპერტუარიდან.

... именно этот инструмент серьезно повлиял на мои первые творческие успехи. Он связал меня с гениальной пианисткой Наной Хубутия и с ее мужем Гоги Торшелидзе. Для Наны я сочинил первую фортепианную сонату, „Поэму-Диалог“, первое фортепианное трио (трио памяти Бизе), двойной концерт. Она все сыграла, что дало возможность мне не затеряться после учебы, а реально участвовать в музыкальной жизни Грузии и в какой-то мере влиять на происходящее. Все ее выступления были событиями, и публика была соответствующая (интеллектуальная элита). Она плохую музыку просто не играла! Писать для нее было серьезнейшим экзаменом для меня. И если мое имя сразу стало узнаваемо — это ее заслуга.

მარინა რიცარევას წიგნიდან
Иосиф Барданашвили: Жизнь в трех измерениях
Беседы с композитором

თეიმურაზ ბაქურაძე, კომპოზიტორი

მოაზროვნე გული

რა შეიძლება ვთქვა სოსოზე ისეთი, რაც ჯერ არ თქმულა, რასაც სხვა ვერ გაიმეორებს, - უნიჭიერესი!.. მრავალმხრივი!.. დაუცხრომელი!.. ორი სამშობლოს უერთგულესი შვილი და მსახური!..

ვინ იფიქრებდა, რომ ოცდაექვსაუკუნოვანი ოცნება დედაისრაელზე, სწორედ ჩვენს თანამედროვეებს და მათთან ერთად სოსო ბარდანაშვილსაც აუხდებოდა... რა შეიცვალა?! - მხოლოდ ბალიში და სიზმრების მიმართულება, ადრე აქედან იქეთ რომ იყო მიყურადებული და ახლა იქედან აქეთ რომ ენატრება და ეცრემლებდა.

სოსო ჩემი მარადიული ძმია, ჩემი ბიოგრაფიის ნაწილი, თანაქალაქელი და თანამემოქმედი. მე მისი საოცარი მშობლების სითბო მახსოვს, მისი ძვირფასი ძმების ყურადღება. სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ), ჩვენ აღარასოდეს ვიქნებით ახალგაზრდები, მაგრამ ღმერთი დაგვაცლის და "გამოტოვებულ" წლებს აგვინაზღაურებს, ალბათ; ყოველშემთხვევაში, მუსიკითა და პოეზიით მაინც, რამაც თავის დროზე დაგვამოხილა კიდეც.

"მოაზროვნე გული", მახსოვს ასე ვუნოდე მის დიდებულ მუსიკას დიდი ხნის წინათ, ბათუმში, ერთ დაუფინყარ სალამოზე და, მიხარია, რომ დღეს, არამხოლოდ საქართველოში და ისრაელში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰყავს თანამოაზრე და დამფასებელი.

ვულოცავ სახელოვან იუბილეს მას და მის ძვირფას ოჯახს და ვიტყვი - სოსოს ორჯერ 70 წელიწადი ვერაფერს უზამს. მის შემოქმედებას კი გრძელი და ხანგრძლივი მოგზაურობა ელის მომავალ თაობებთან ერთად...

"ერთხელც, ვიცი, ბნელ ღამეში
დაშნის წვერი იელვებს;
კი არ ვტირი, კი არ ვმღერი,
სიკვილს ვათვინიერებ!"

პანტანო ლლონტი
ბათუმი, ოქტომბერი, 2018 წელი

„ღირსება ერთადერთი სამოსია, რომელსაც ვერავინ გაგხდის“

ერის ისტორია ფასდება და მალდება მისი სახელოვანი შვილების ღვაწლითა და სახელით. იოსებ ბარდანაშვილი სამართლიანად და დამსახურებულად ითვლება „გალუთის ოქროდ“. კომპოზიტორის მოსავალი მუსიკაში გამოჩენილი მიღწევებისათვის, მრავალთა ქმედებას მიკროსკოპულად მცირედ გამოაჩენს. სრულყოფილი სახით წარმოვადგინებ კომპოზიტორის შემოქმედება — ოპერები, ბალეტი, პიესები სიმფონიური ორკესტრისათვის, სოლისტებისათვის ორკესტრის თანხლებით, კამერული ანსამბლებისათვის, სოლო ფორტეპიანოსათვის, გიტარისათვის, საგუნდო შესრულებისათვის, მუსიკა ფილმებისათვის, სპექტაკლებისათვის, რომლებიც აუღერებულ იქნა თბილისის, ბათუმის, თელ-ავივის, იერუსალიმის, ბერ-შევის და ხაიფის თეატრების სცენებიდან მაყურებელთა სავსე დარბაზებში.

იოსებ ბარდანაშვილის მიერ მიღებული პრიზები და ჯილდოების ჩამოთვლა, წარსულს არ მიეწერება. ამჯერად წარდგენილია „წლის ადამიანი“ პრემიაზე, როგორც ნომინანტი ისრაელის მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ვიმედოვნებ უ.შექსპირისეული „იმისათვის, რომ შეაფასოს სხვისი ხარისხი, აუცილებელია, თვით პიროვნებას გააჩნდეს ამ ხარისხის გარკვეული ნიშანი“, გვიჩვენებს ამომრჩევლის დონეს.

მსურს, როგორც კლასიკური მუსიკის მსმენელმა, ავლინო: როდესაც ასრულებენ იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებებს დარბაზში სულიერებით ავსილი აურა სუფევს, დამსწრენი აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. განა ბევრ თანამედროვე კომპოზიტორს ერგუნა ბედნიერება, მისი ოპერა აუღერებულ იყოს ისრაელის საოპერო სცენაზე? მათი დაკვეთით შეიქმნა „მოგზაურობა საუკუნის დასასრულისაკენ“ ალექს ბეთ იეჰოშუას გახმაურებული რომანის მიხედვით.

ჩვენო ძვირფასო და სახელოვანო თემის წარმომადგენლო, საუკეთესო გენების მემკვიდრე, გისურვებ კვლავაც განაგრძო შემოქმედის გზა. ადამიანს სამი რამ გამოავლენს: შრომა, პატიოსნება, მიღწევები.

პროფესორი ლელო ჩიკვაშვილი,
თელ-ავივის უნივერსიტეტი



ამ ფოტოს კარგა ხანია ვიცნობ და ორი მიზეზის გამო სიამოვნებით შევავლებ ხოლმე თვალს. პირველი: რასაც ამ ფოტოზე ვხედავ, სოსოს დიდ სიმდიდრედ და ცხოვრების გამართლებად მიმაჩნია. მეორე: ეს ფოტო ჩემი ბიოგრაფიის, ცხოვრებისეული კრედოს ნაწილად წარმომესახება: იმ თვეებს მაგონდება, როცა მაია და სოსო უნდა შეუღლებულიყვნენ. მაიას მშობლებს ვიცნობდი, თქვენ წარმოიდგინეთ, ბებია-ბაბუასა და ბიძებსაც კი-- ვიცოდი, რა ჩინებული წარმომავლობის იყო, საიდან მოდიოდა. ამიტომ როცა შევიტყვე, სოსოსა და მაიას შორის რაღაც დაიწყო და საქმის დაგვირგვინება არა და არ ხერხდებოდა, ძალიან აქტიური გაგხდი-- ვცდილობდი, ორივე მხარესთან ისე მემოქმედნა, პროცესი არ ჩამქრალიყო-- ბოლომდე მისულიყო.

არა მხოლოდ მაიას წარმომავლობას ვიცნობდი კარგად, სოსოს ღირსეულ მშობლებსაც, განსაკუთრებით მამას- ჩინებულ ბატონ იუზას--ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახ. სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჩემი პიესა „ოთხი დღე“ რომ დაიდგა (შორეული წარსულია--1972წ.), მომნახა, გამეცნო და მას მერე ჩვენი ურთიერთობა არ შეწყვეტილა. 70-იანის დასასრულს, თუ 80-იანის წლების დამდეგის ერთი სალამოც დაუფინყარი გახდა, როცა ბათუმში ყოფნისას, სოსომ შინ წამიყვანა და ბათუმის ებრაულ თემზე გაკეთებული თავისი ვიდეოფილმი მაჩვენა. იმ ფილმს დღესაც სიამოვნებით ვნახავდი--იქ ბათუმის ებრაელობის ძალიან საინტერესო წარსულზეა საუბარი. ეს კიდეც ერთხელ მარწმუნებს, რაოდენ სისხლსავსე ცხოვრებას ენეოდა საქართველოს ებრაელობა.

და რატომ არ უნდა ჩამეგონებინა (ზოგჯერ მეტისმეტი სიჯიუტითაც კი!) როგორც მაიასათვის, ასევე სოსოსათვის, რომ საქმე ბოლომდე მისულიყო? რა დაგიმალოთ და, დღეს, სოსოს ოჯახურ ფოტოს რომ დავცქერი, საკუთარი თავით კმაყოფილებასაც ვგრძნობ --სწორად გავრჯილვარ.

დღეს სოსო ამერ-იმერში ცნობილი და პატივადებული შემოქმედი. მის ნაწარმოებებს სხვადასხვა ქვეყნებში ასრულებენ, პირველი ქართველი ებრაელია, ოპერა, რომ შექმნა (ღმერთმა ინებოს, კვლავაც გამოჩნდნენ მის-გვარნი, დაუნეროთ!) ესეიგი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვანთაგან ქართველ ებრაელობას ღირსებას რომ მატებენ, მის ჭერს ამაღლებენ. ქართველ ებრაელობაში კი ამას, როგორც ყოველთვის, თითო-ოროლა თუ ამჩნევს, მაგრამ სოსოს აქვს ერთი შესაშური თვისება: ამგვარ სენტიმენტებს არ განიცდის, ან რატომ უნდა განიცდიდეს: დიდებული შემოქმედი, ძალიან ხელხვაყვანი შემოდგომა უდგება--მდიდარი კაცია, მის სიმდიდრეში კი ეს ორი ანგელოსი-ჩემთვის ძალიან ძვირფასნი, ბრწყინავს.

იხარეთ!

გურამ ბათიაშვილი

საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი ბაქოში ლიკა ტორიკაშვილი:

ჩვენი მიზანია ვისაუბროთ ახალგაზრდების პრობლემაზე

— იქნებ, გვიამბოთ, როგორ დაიწყო თქვენი საზოგადოებრივი ინტერესებით ცხოვრება?

— 14 წლისამ მეგობრებთან ერთად შევექმენი ორგანიზაცია „გაუფერადე სამყარო“. ვხედავდით, რომ ჩვენს გარშემო ბევრი რამ იყო შესაცვლელი. სხვადასხვა მედია საშუალებებით გვესმოდა, რომ არის ბევრი დაწესებულება, სადაც არიან ინკლუზიური განათლების მქონე პირები, ასევე არის რამდენიმე მოხუცთა თავშესაფარი, სადაც ხანშიშესული ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც მიტოვებული არიან და ნუგეში სჭირდებათ.

გუნდი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა შევკარით. მქონდა იდეა, გუნდი იპოვიდა სხვადასხვა დაწესებულებას, იქნებოდა ეს საავადმყოფოები, მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა სახლები, კათარზისები, შშმ პირთა თავშესაფრები, აუტისტ ბავშვთა დაწესებულებები. ამის შემდეგ მივდიოდით ამ დაწესებულებებში რათა გამოგვეჩაბა თანაგრძნობა, და როგორც ერქვა ჩვენს მოძრაობას, გაგვეფრედებინა სამყარო სხვადასხვა აქტივობებით. ჩვენი მოძრაობა თანდათან გადაიზარდა ორგანიზაციაში. გვინგვედნენ სხვადასხვა გადაცემებში (სიუჟეტი გააკეთდა „იმედი გმირებში“) და „გაუფერადე სამყარო“ პოპულარული გახდა — შემოგვემატნენ ახალი წევრები, ჩავდიოდით სხვადასხვა ქალაქებში და იქაც გვიერთდებოდნენ თანამოაზრები. ჩვენი სოციალური მესიჯის ადრესატთა მასშტაბი გაიზარდა.

შემდეგ სასწავლებლად გავემგზავრე დიდ ბრიტანეთში, ატლანტის საერთაშორისო კოლეჯში, უელსში, გავიცანი ახალგაზრდები სხვადასხვა ქვეყნებიდან, ერთმანეთს გაუზიარეთ ჩვენი გამოცდილება, იქ გაჩნდა იდეა, რომ „გაუფერადე სამყარო“ გამხდარიყო საერთაშორისო ორგანიზაცია სახელით „აინტ თჰე ჭორლდ“. სწორედ ამის შემდეგ მომიწია ძალიან ბევრ ქვეყანაში პირადად ჩასვლა ჩემს გუნდთან ერთად, ჩვენი ორგანიზაციის დაარსება და მისი პოპულარიზაცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი იყო მალაიზიაში, ბორნიოს კუნძულზე, სადაც მეგობრებთან ერთად გავემგზავრე და შევხვდით იქაურ ახალგაზრდებს, რომლებმაც „გაუფერადე სამყაროს“ ფილიალი დაარსეს. შემდეგ მალაიზიიდანაც ჩამოვიდნენ და ბევრი პროექტი განვახორციელეთ ერთობლივად. ერთ-ერთი იყო „თბილისი — მშვიდობის ქალაქი“ - მოვიწვიეთ განსხვავებული რელიგიური, სოციალური წარმოშობის ახალგაზრდები — მათთან ერთად განვახორციელეთ პროექტები.

ამის შემდეგ საკუთარი ინიციატივით და სახსრებით ერთი წლით აფრიკაში გავემგზავრე, მაინტერესებდა, როგორი სოციალური გარემო იყო ამ კონტიტენტზე, მინდოდა გამეცნო აფრიკელი ახალგაზრდები და „გაუფერადე სამყარო“ იქაც დამეარსებინა. ამ იდეით ნავედი მოხალისედ ერთ-ერთ ბავშვთა სახლში, ლუბამბას სოფელში, სადაც ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი. დღეს აფრიკაშიც არის „გაუფერადე სამყარო“-ს ფილიალი, სვაზილენდის სამეფოში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი ოცნება და მიზანი არის, რომ ეს ორგანიზაცია იყოს ყველა ქვეყანაში და სხვადასხვა ერის, კანის ფერის, რელიგიის წარმომადგენელი ახალგაზრდები, უფროსებთან ერთად, აფერადებდნენ მთელ პლანეტას. მინდა ვთქვა, რომ „გაუფერადე სამყარო“ არ არის გამოცდილება, რომელიც დასრულდა, ეს არის იდეა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში გავაგრძელებ. სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისას გავიცანი საინტერესო ახალგაზრდები და ასევე გავიცანი ინოვაციურ მიდგომებს და საშუალებებს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია აღმოიფხვრას ეკოლოგიური და სოციალური პრობლემები, შევისწავლო საინტერესო მოდელები, რომლებიც მინდა საქართველოში დავწერგო და დავეხმარო ქვეყნის განვითარებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— რამდენად მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი ინსტიტუტის ჩამოყალიბება ჩვენს საზოგადოებაში?

— ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ემპათიას განავითარებს ახალგაზრდებში. ზუსტად მოხალისეობა და ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები ადრეულ ასაკში ხედავენ სხვადასხვა



პრობლემას და აქვთ სურვილი დაეხმარონ მათ, არის ძალიან მნიშვნელოვანი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებისთვის. ატლანტის კოლეჯში, არ გინერდნენ ქულებს და დიპლომს არ გაძლევდნენ, თუ არ გქონდა გარკვეული მოხალისეობრივი აქტივობები და ვფიქრობ, ეს არის დიდებული მოდელი და ძალიან მინდა ასეთი სისტემა, ჩვენს სკოლებშიც დავწერგო იმისთვის რომ უფრო მეტი მოხალისე გვყავდეს და მოხალისეობა იყოს ნახალისეული სკოლებში. კერძო სკოლებში ეს უკვე ტარდება, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სკოლებშიც იყოს ანალოგიური სისტემა.

— გაეროს პროგრამის შესახებ, რომ გვიამბოთ, რას გულისხმობს ახალგაზრდა წამომადგენელი და რა გამოცდილება მიიღებ?

— 1981 წელს გაეროს წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ ახალგაზრდების გაძლიერება უნდა იყოს პრიორიტეტი, რომ ახალგაზრდობა არის ის ძალა, რომელიც მშვიდობას დაამკვიდრებს პლანეტაზე და გადაჭრის იმ კონფლიქტებს, რომლის წინაშეც დღეს კაცობრიობა დგას. გაეროს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ახალგაზრდა წამომადგენელი უნდა ირჩეოდეს ერთნაირი მანდატით, რაც ნიშნავს იმას, რომ არჩეული წამომადგენელი, რომელსაც თითოეული ქვეყნის სხვადასხვა სამინისტროები და კომისიის წევრები ირჩევენ, იქნება დელეგაციის ერთ-ერთი წევრი. მე ერთი წლის განმავლობაში ვარ ახალგაზრდა დელეგატი, მაქვს საშუალება, ქართველი ახალგაზრდობის სახელით, სიტყვით მივმართო გაეროს ტრიბუნიდან მთელ მსოფლიოს. 73-ე გენერალურ ანსამბლეაზე, მესამე კომიტეტში გამოვედი სიტყვით. ვისაუბრე იმ პრობლემებზე, რაც გვანუხებს ახალგაზრდებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პლატფორმა იმისთვის, რომ ახალგაზრდებს უფრო მეტი ხმა გვექონდეს და დავაფიქსიროთ ჩვენი ხედვა გაეროში. მართალია, დიპლომატები ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ, დიპლომატი ახალგაზრდულ საკითხებზე, ისე როგორც ახალგაზრდა, ვერ ისაუბრებს, ამისთვის ვარ მე ორმოც სხვა ახალგაზრდა დელეგატთან ერთად, ჩვენი მიზანია ვისაუბროთ ახალგაზრდების პრობლემაზე. მოვსიმინოთ გაეროს პოზიცია სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც ესება ახალგაზრდებს, შემდეგ ეს ინფორმაცია მივანოღოთ ჩვენს თანამოქალაქებს. ფაქტობრივად შუამავლის ფუნქციას ვასრულებთ. საქართველოში ამ მანდატს აქვს თავისი სპეციფიკა: პირველ რიგში ეს არის გაეროს დაკავშირება ქართველ ახალგაზრდებთან და მათი პრობლემების გაუფრება გაეროში, ასევე არის ეროვნული ტური, რომელსაც ვატარებთ, რაც გულისხმობს რომ ვხვდებით ახალგაზრდებს სხ-

ვადასხვა რეგიონებში, მაღალმთიან სოფლებში და ვაცნობთ ინფორმაციას გაეროს მდგარადი განვითარების შესახებ. მნიშვნელოვანი როლი, რაც მე მაკისრია, არის ის, რომ მე ვარ დამაკავშირებელი რგოლი გადანწყვეტილების მიმღებ პირებსა და ახალგაზრდებს შორის, უნდა გაიმართოს ამ ორ მხარეს შორის დისკუსიები. ასევე არის პლატფორმა „დიპლომატი მომავალთან“, რომელიც წინა წარმომადგენლის მიერ შეიქმნა და გულისხმობს, წარმატებული ახალგაზრდები და სამთავრობო პირები დიალოგის რეჟიმში განიხილავენ მნიშვნელოვან საკითხს.

— რა იყო თქვენი მთავარი გზავნილი და თემა, რაზეც გაეროს ანსამბლეაზე ისაუბრეთ?

— უნდა გავზარდოთ ისეთი ლიდერები, რომელთაც არამხოლოდ საკუთარ თავზე და კარიერაზე იზრუნებენ, არამედ მსოფლიოს კეთილდღეობაზე და პირველ რიგში, საკუთარ ქვეყანაზე. აღვნიშნე, რომ მიუხედავად განსხვავებისა, როგორცაა კანის ფერი, რელიგია, ენა, რომელზეც ვსაუბრობთ, ყველანი ვართ ადამიანები და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. პირველ რიგში უნდა იყო ადამიანი და მერე ყველაფერი დანარჩენი, ასევე ვახსენე სამშვიდობო პოლიტიკა ჩვენი აფხაზი და ოსი და-ძმების მიმართ. ვაპირებ, გავაგრძელო წინა წარმომადგენლის მიერ დაარსებული ახალგაზრდული მოძრაობა „მერიტებისთვის“. მიმაჩნია, რომ მხოლოდ მშვიადობიანი გზებით და დიალოგითაა შესაძლებელი ამ კონფლიქტის გადაჭრა.

— როგორია თქვენი გეგმები?

— მინდა უახლოეს მომავალში დავგეგმო ეროვნული ტური და ჩავიდე ყველა იმ ახალგაზრდასთან, ვინც დამიკავშირდა სხვადასხვა ქალაქიდან და მთხოვეს, ჩავიდე და გავიცნო. ვინც ვერ დამიკავშირდა მინდა, რომ მე თვითონ დავუკავშირდე. მინდა რაც შეიძლება ბევრ ახალგაზრდას შევხვდე და გავეცნო მათ პრობლემებს. ასევე ვგეგმავ გავმართო „დიალოგი მომავალთან“ და მოხდეს შეხვედრა პრემიერთან და განათლების მინისტრთან. ასევე მომავალ წელს ვგეგმავთ ახალგაზრდულ საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის დესპანის ვიზიტს საქართველოში, რომელიც ძალიან მინდა მაღალ დონეზე ჩატარდეს. მე მაკისრია ამ ვიზიტის და ახალგაზრდებთან შეხვედრის დაგეგმვა. ასევე მინდა მცირე პროექტები და კამპანიები დავგეგმო ადამიანებს შორის თანასწორობაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესზე. ეს ორი ძალიან მნიშვნელოვანი თემაა მდგრადი განვითარების პუნქტიდან, რომელის პოპულარიზებასაც ვგეგმავთ.

წიგნიდან „სახეები და სიტუაციები“

ბურაბ გათიაშვილი

მეფას ბული სიხარულით მისება

ალექსანდრ სოლჟენიცინმა ორტომეულში „ორასი წელი ერთად“ რუსეთში ებრაელთა ცხოვრების ავ-კარგი განიხილა. პირველ ტომში საუბარია იმაზე, ებრაელობამ რაოდენი სიკეთე მოუტანა რუსეთს, როგორ წასწია წინ ამ ქვეყნის ეკონომიკა, მეცნიერება, აამალა კულტურა, გაზარდა ხაზინის შემოსავალი. მეორე ტომი რუსეთის ისტორიაში ებრაელთა ნეგატიური როლის წარმოჩენას ეძღვნება. მწერალი მოთქვამს, ებრაელობა ხელმწიფე-იმპერატორს ებრძოდა, იმპერიის დასამხობად თავგამოდებული იღწვოდა, მიზანსაც მიაღწია — იმპერიაც დაგვიშალა და „მამილო მეფეც“ ხელიდან გამოგვაცალაო. ნიკოლოზ მეორისა და ებრაელობის არცთუ სასიხარულო ურთიერთობაზე ადრეც წამიკითხავს. ალ. სოლჟენიცინის მოსაზრებას კი ორი მიზეზის გამო არ ვიზიარებდი.

პირველი: ადრეულ წლებში გვასწავლიდნენ, ბეჯითად ჩაგვძახოდნენ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით რუსეთის სახელგანთქმულ მუშათა კლასმა მოახდინა, საქულველი მეფის ხელისუფლება მან გააცამტვერაო. ეს ლოგიკურადაც მიმაჩნდა, რადგან მუშათა მოძრაობა დიდი ძალაა.

მეორე: „პერესტროიკის“ შემდეგ, როცა ე.წ. ოქტომბრის რევოლუციად წარმოჩენილი სახელმწიფო გადატრიალება ნეგატიურ მოვლენად შეფასდა და რევოლუციონერები სათრეველ-საგინებელი გახდნენ, წერნ, გაიძიან ეს ყველაფერი იუდა-მასონებმა მოგვიწყესო. ვიდრე რევოლუცია მარწყვის ტორტი იყო, მოზრდილ ნაჭრებს გადაიღებდნენ, როცა ავად სახსენებელი გახდა, ეგ ყველაფერი ებრაელების ხრიკებიაო. ალ. სოლჟენიცინიც ამ გეზს მისდევს.

ებრაელობა სხვა სახელმწიფოებშიც ცხოვრობდა, ცხოვრობს. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს გაცილებით ხანგრძლივი ისტორია აქვს, ვიდრე რუსეთში. ამ ქვეყნების ანტისამთავრობო მოძრაობაშიც მონაწილეობდნენ, როგორც მოსახლეობის ნაწილი, მაგრამ სახელმწიფოს წგრევის კი არა, სტრუქტურული დახვეწის ლიბერალური ლოზუნგებით გამოდიოდნენ. ამიტომ თან მდევდა კითხვა: ასე რატომ, რისთვის უნდა ამხედრებულიყო ებრაელობა, ესოდენი წინააღმდეგობის მიზეზი რა უნდა ყოფილიყო?

დევნილობაში, უცხოთა მიწაზე მცხოვრები ერის სტაბილური ყოფის, უსაფრთხოების გარანტი კანონიერების დაცვაა. უცხოთა არაფერი და არავინ არ იცავს, გარდა, დამხდური ერის ზნეობრიობისა და კანონისა. კანონიერების, სტაბილურობის დამცველი კი მეფის ინსტიტუტი გახლდათ. ყველაფერი იქიდან მოდის, ყველაფერი იქ იღებს სათავეს.

და ებრაელობა ამას დაუპირისპირდა? მაშასადამე, ათასგან წაკითხული, მოსმენილი „ბეი ჟიდოვ, სპასაი როსსიიუც“ იქიდან მოდის? (ცხადია — რუსეთში „მამილო მეფის“, თვითმპყრობელი იმპერატორის კი არა, აგერ, გუშინ რაიკომის ინსტრუქტორის პოხონდრიაც კანონი იყო.

ყველაფერი ეს, რომ მასხენდება, ამ საკითხზე ჩემს მოსაზრებას წყალი უდგება — ალ. სოლჟენიცინისაკენ ვიხრები.

მინდა მკითხველი ამთავითვე გავაფრთხილო: ის, რასაც ქვემოთ დავწერ, ამომწურავ პასუხს ვერ გაცემს კითხვას, თუ რით იყო განპირობებული რუსეთის ებრაელობის ესოდენ ნეგატიური დამოკიდებულება მეფის ტახტისადმი. მე მხოლოდ ორიოდ დეტალის აღვწახვავ. მოზაიკა კი დეტალებისაგან შესდგება.

ცნობილია: ავადსახსენებელი „სიონის ბრძენთა ოქმები“ — ოპუსი, რომელმაც იმპერიის ებრაელობას მრავალი ტკივილი განაცდევინა, რუსეთში შეიქმნა. წიგნი დაიბეჭდა თუ არა, იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მხარტვეს — ენადათ მეფე „ჟიდების გამხრნელი“ ზეგავლენისაგან დაეზღვიათ — შიშობდნენ, იმპერატორი „ჟიდო-მასონების“ გავლენის ქვეშ არ მოექცესო. როგორც ნიკოლოზ მეორის ოჯახთან მეტისმეტად დაახლოებული რასპუტინის თანამემწე — არონ სიმანოვიჩი თავის ნაკლებად სანდო წიგნში „Распутин и евреи“ გვაუწყებს, ამის სამიშროება არსებობდა — მეფე ებრაელობისადმი კეთილგანწყობილი იყო.

ნიკოლოზ მეორე თურმე „ოქმებს“ დიდი ინტერესით კითხულობდა — აღფრთოვანებული გახლდათ მისით. არშიაზე წაუწერია კიდევ: „რაოდენ ღრმა აზრის მატარებელი წიგნია!“ თავისი მოსაზრება შინაგან საქმეთა მინისტრ სტოლიპინს რომ გაუზიარა, მინისტრი გამოუტყდა: ეგ ოქმები ჩვენი „ოხრან-კის“ მიერ გახლავთ შედგენილი, თავიდან ბოლომდე ნაყალბევიანო. მეფემ ეს რომ შეიტყო, „რევოლუციონერებისა და ებრაელობის წინააღმდეგ“ საბრძოლველად მისი გამოყენება აკრძალა. ფორმულირება ასეთი გახლდათ: „ოქმები აიკრძალოს. არ შეიძლება სუფთა საქმე ჭუჭყიანი საშუალებით დაიცვა!“ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა სწორია — შეუძლებელია სუფთა საქმე ჭუჭყიანი ხელებით აკეთო.

ახლა ის ვიკითხოთ, თუ რა არის „სუფთა საქმე“, ისიც აქვე ვიკითხოთ „ჭუჭყიანი საშუალება“ რა არის, ე.ი. ვისა აქვს ჭუჭყიანი ხელები?

„სუფთა საქმე“ რევოლუციონერებთან და ებრაელობასთან ბრძოლაა, ებრაელობის რბევა, ხოცვა-კი, როგორც ეს დარბევებისას ხდებოდა. „ჭუჭყიანი საშუალებით“ კი ისინი

მოქმედებდნენ, ვინც „სიონის ბრძენთა ოქმები“ შეადგინა. მისი მამა იმპერატორი ალექსანდრე მესამე როგორ ირჯებოდა?

ვარშავაში რომ ებრაელობა დაარბიეს, ხელმწიფე გუბერნატორ გურკოს ეუბნება: „ებრაელებს რომ ურტყამენ, გული სიხარულით მეცხება, მაგრამ არ შეიძლება ამის უფლება მიცეთ.“

მამა: გული სიხარულით ევსება, როცა ებრაელებს ურტყამენ, ხოცავენ. შვილი: კარგად იცის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს „სუფთა საქმე“.

რალა დარჩენია ერს, რომლის რბევა-ანიოკება მეფეს გულს სიხარულით უვსებს?

და ებრაელობაც აკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა — რისკენაც მეფეთა ქმედება წარმართავდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, მეფე (ალექსანდრე მესამე) რატომ ვერ მისცემს

იმის კეთების უფლებას, რაც გულს სიხარულით უვსებს? არსებობს დასავლეთი! სახელმწიფო მოღვაწეები, პრესა, მოქალაქენი მოჰყვებიან რუსეთის, მეფის ძაგებას!

გამოდის, ორი საუკუნის წინათაც ისე იყო, როგორც დღეს არის: რუსეთიც ისეთი იყო, როგორც დღეს გახლავთ და დასვლეთიც ისევე ირჯებოდა, როგორც დღეს... ოჰ, ეს დასავლეთი!...

ილიკო

ილია მოსიაშვილი, ჩვენი ილიკო, თბილისის ებრაელობის ძვირფასი წევრი — წინდახედული, მრავალი ღირსებით გამორჩეული, გასაჭირში ჩავარდნილთა ხელისგამმართავი და სისტემატური შემწე, იუმორის ნიჭით გახლდათ დაჯილდოებული.

- როგორ ხარ, რას შვრები? — ეკითხება შემხვედრ მავანს.
- კარგად, მადლობელი ვარ! — დაახლოებით ასე პასუხობდა მავანი.
- კაი მოგცეს გამჩენმა, სახელმწიფოს რაიმეს ედავები, რამე გეკუთვნის და არ გიკეთებს?
- კი მეკუთვნის, მაგრამ, მაგათთან დავა... — სახელმწიფო შენ ხო არ გედავება რამეს?
- არა, რატომ!
- ამხანაგობაში გასაყოფზე რაიმე დავა გაქვს?
- ნუ, რალაცა არი, მარა... არა, არაფერი!
- მეზობელი ხომ არ გედავება, ან შენ ხომ არ ედავები რამეს?
- აუ, მავას ნუ მკითხავ, ავია, მარა არა, არაფერი... მშვიდობაა!
- თუ შენსას არ თხოულობ და არავისგან არაფერი გინდა, კი იქნები კარგად, რა გიჭირს! — აქილიკებდა ამ კაცის ინერტულობას და ფაქტიურად ქმედებისაკენ მოუწოდებდა.

ბერუონ ბენ ორენი

რა უთვისტომოდ ზის ქალაქი — ოდესღაც ასე აყვავებული, ხალხში ასე სახელგანთქმული ქალაქთა ქალაქი ხარკს იხდის ახლა.

ეს „იერემიას გოდება“ გერმონ ბენ ორენის, იგივე გერმონ წინაუშვილის მიერ უშუალოდ დედნიდან თარგმნილი და ვგონებ, საკმაოდ რიგიანადაც.

საქართველოს ებრაელობის ისრაელში რეპატრირაციას ერთი დიდი სიკეთეც მოჰყვა თან: იქ დასახლებული ქართველი ებრაელები დედნიდან თარგმნიან იმ უზარმაზარი კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშებს, ებრაელ ხალხს თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში რომ შეუქმნია. ამის გამოისობით, დღეს ქართულ ენაზე გვაქვს სწორედ დედნიდან თარგმნილი დავითის ფსალმუნთა, ძველი აღთქმის, სოლომონის იგავთა და სხვ. რამდენიმე თარგმანი. რასაკვირველია, ყოველი თარგმანი სრულყოფით ვერ დაიკვეხნის, ზოგიერთი კი ჩინებულია.

სამწუხაროა და გულიც კი მწყდება, რომ ქართველი მკითხველი ამ თარგმანებს თითქმის არ იცნობს — მისთვის უცნობია რეპატრირებულმა ქართველმა ებრაელებმა, რაოდენი შრომა გასწიეს კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშები რომ ქართულ ენაზე აუღერებელიყო. ყოველი მათგანი ისრაელში გამოიცა. საქართველოში ახლო მეგობარ-ამხანაგებს უგზავნიან, ან იქ სტუმრად ჩასულთ თუ მხარტმევენ. ჩვენს გამომცემლობებს კი არა-რა ნაბიჯი არ გადაუდგამთ, რომ ეს თარგმანები ქართველი მკითხველისათვისაც გამხდარიყო ხელმისაწვდომი. ალბათ, ამით გახლავთ განპირობებული ის, რომ საქართველოში ხელში არავის აუღია კალამი ამ თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებათა წარმოსაჩენად. ყველა ეს თარგმანი ხომ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შემადგენელი ნაწილია და თუ ვინმე ასე არ ფიქრობს, ძალიანაც ცდება. არადა, უშუალოდ ძველი ებრაული ენიდან თარგმნილი კარგა ძალი ლიტერატურა დაგროვდა. ეს თარგმანები თავის ობიექტურ, პროფესიულ შემფასებელს ჯიუტად ელის.

და რაც უფრო გახანგრძლივდება ეს მოლოდინი, მით უფრო არასასურველი იქნება შედეგი. დღეს და სწორედ ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ უნდა შეფასდეს რეპატრირებულ ქართველ ებრაელთა ნვლილი ქართული მთარგმნელობითი სკოლის განვითარებაში. იოლად გასაგები მიზეზების გამო, ამ საშურ საქმეს ვერ ითავებენ ისრაელელი ლიტერატორები. სრულიად რეალურია იმის საფრთხე, რომ ძველებრაულიდან

ქართულ ენაზე თარგმანება ნელ-ნელა მინელდეს, იქნებ, სულაც შეწყდეს. ამ ძალიან არასასურველ, მაგრამ მოსალოდნელ შედეგს, ორი მიზეზი განაპირობებს: პირველი და მთავარი ის გახლავთ, რომ მთარგმნელთა ეს თაობა უკვე ასაკოვანია — მათი რესურსები, ბუნებრივია, ინურება. მეორეც: დღემდე თარგმნილი ლიტერატურისა და მთარგმნელებისადმი ქართული ლიტერატურული სამყაროს უყურადღებობა — არავინ დაინტერესებულა მსოფლიო შედეგები ქართულ ენაზე როგორ გადმოდის, იჭერს თუ არა ეს თარგმანები ადგილს ქართულ მთარგმნელობით სივრცეში, ან შემოდის თუ არა იგი საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების არეალში. უკვე თარგმნილი ლიტერატურისა და მთარგმნელებისადმი ამგვარი გულგრილობა, სათუოს ხდის დაინტერესდება, თუ არა მომავალი თაობა ამგვარი ლიტერატურის ქართულად გადმოღებით.

გერმონ ბენ ორენი-წინაუშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქართულ კაზმულსიტყვაობას დედნიდან თარგმანებით ამდიდრებს, მაგრამ ამჯერად მინდა ვისაუბრო არა მის თარგმანებზე, ერთ მოთხრობაზე: ახლახან ისრაელში გამოიცა ლამის რვა მის თარგმანებიანი „ქართველ ებრაელთა პროზა“, რომელში შესულ ზოგიერთ ნაწერს, შორეული კავშირი აქვს პროზასთან. კრებულში ყურადღება მიიქცია გერმონ ბენ ორენის მოთხრობამ „აბონენ ნერგი“. არა-რა სტილისტური, გნებავთ, სიუჟეტის აგების ნოვაციებით ეს მოთხრობა არ

გამოირჩევა, მაგრამ „აბოენტი ნერგი“ მაინც გამახსოვრდებათ ავტორის მის-
წრაფებით ყოფა ასახოს შეულამაზებლად, ეგზალტირების გარეშე, რაც ამ
ბოლო ხანს დაჰკრავს ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე საუბარს. მავანი
და მავანი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ეს ორი ერი იმის ფიქრში ათ-
ენებდა და აღამებდა, ერთმანეთისათვის როგორ ეამებინათ — ეს ორი ერი
ცხოვრობდა ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრებით და ეს ჩვეულებრივობა,
აუმღვრეველი ყოველდღიურობა ქმნიდა ჩინებულ ფონს. საუკუნეობრივი
ურთიერთობა სულაც არ მოიცავს „მაკოცე და გაკოცებს“ სულიკვეთე-
ბას. ცხოვრებას ყველაფერი ახლავს: ავიც და კარგიც, საამოც და უამურიც,
საბა კლდიაშვილის მამაცობაც და „სისხლის შარის“ საძაგელი სასამართლო
პროცესებიც. გერმონ ბენ ორენის მოთხრობის მთავარი მახასიათებელი
მისი ცხოვრებისეულობაა. ავტორი ყოფას ასახავს ისე, როგორც სოფელმა
დაიმახსოვრა.

ამ მოთხრობამ გამახსენა ნიუ-იორკში, საქალაქო ბიბლიოთეკის წინ, მე-
ექვსე ქუჩის ტროტუარზე განფენილი ამერიკელ მწერალთა ვარსკვლავები,
რომელიც მოიცავს მწერლის პორტრეტს, დაბადებისა და გარდაცვალების
წლებს და ერთ ფრაზას მისი ნააზრევიდან. ერთ-ერთი მწერლის, სამსუხ-
აროდ, მისი გვარი გადამავიწყდა და ველარც ჩანანერებში ვიპოვე, ვარსკვ-
ლავზე ამოკვეთილია: „პროზა არის ამბავი“ დიახ, ამბავია წარმმართველი
დავით კლდიაშვილისა, თუ ალექსანდრე ყაზბეგის, შიო არაგვისპირელისა,
თუ ჭაბუა ამირეჯიბის თხზულებებში. ცხადია, ამბის თხრობის ნიჭი, გად-
მოცემის ფორმა ძალიან მნიშვნელოვანია — მკითხველი ფინალამდე ამბავს
მიჰყავს.

„აბოენტი ნერგი“ გვიდასტურებს მოხმობილ მოსაზრებას — აქ მთავარია
ამბავი. ავტორი გვიამბობს სოფელ ბრეთის ებრაელთა ყოფაზე: ბრეთელი
ახალგაზრდობა თავს არიდებს დაოჯახებას — არ სწავლია ოჯახი შექმნას ქა-
ლთან, რომელსაც პირველ ღამეს ბატონი — თავადი ავალიშვილი ჩაიგორე-
ბს ლოგინში, ე.ი. ისარგებლებს „პირველი ღამის“ უფლებით. ბატონყმობის
ხანის ეს წესი, დღეს მწარე ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ღიმილი პირზე
შეგვეყინება, როცა კიდევ ერთხელ მოვაგვლებთ თვალს და გავიზრებთ, თუ
რა გზა გამოიარა კაცობრიობამ — ძალადობა, ადამიანის ღირსების ფეხ-
ქვეშ გათელვა გახლდათ ყოფის თანამდევნი და განუყოფელი ნაწილი. თავად
ავალიშვილის ავხორცობას ანტისემიტური სულიკვეთებით ვერ ახსნი, ვერც
წმინდა ნიგნის — მოსეს ხუთნიგნეულის გრაგნილის შემოსავლის წყაროდ
ქცევის მიზნით, ებრაელთაგან მიტაცებას. შესაძლოა, ამ უგვანო აქტის ჩემი
ამგვარი შეფასება ბევრმა არ გაიზიაროს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მოსეს
ხუთნიგნეულის გრაგნილის მიტაცება არა ანტისემიტური სულიკვეთების,
დანისლული ინტელექტისა და მამონის გაიდელეების დასტურია. თავად
ავალიშვილს ბრეთის მოსახლეობა — ქართველნი, თუ ებრაელნი, იმ არსე-
ბებზედ მიაჩნია, რომლებსაც არა-რა უფლებები არ გააჩნიათ, თავადის ნები-
სმიერი სურვილის შესრულება კი მათი ოდინდელი მოვალეობაა — ამიტომ
ისე მოექცევა, როგორც მოესურვება. ეს მოცემულობის ერთი მხარეა. მეორე
და ჩემთვის მნიშვნელოვანი, რაც გერმონ ბენ ორენმა კარგად წარმოაჩინა,
გახლავთ ებრაელთა სახე — ეს შეუპოვარი და სამართლიანობის მაძიებელი
ადამიანები. ჩემთვის ერთობ მოულოდნელ მათს წინააღმდეგობას გერმონ
ბენ ორენი ექსპრესიული თხრობით წარმოაჩენს.

რატომ მოულოდნელს?

სამსუხაროდ, ჩვენი ებრაელობა აშკარად გამოხატულ, საჯარო წინააღმდე-
გობას ხშირად გვერდს უქცევდა და უქცევს — ადამიანთა ბოროტ ქმედებებს
უზენაესის განსასჯელს ხდის: ის ვასცემსო პასუხს ყოველგვარ უგვანობას.
გერმონ ბენ ორენმა კი უგვანობასთან ბრძოლა ადამიანების დაუყოვნებლივ,
სადღესო საქმედ აქცია. ეს ზნეობრივი და პირდაპირი გზაა კლასობრივი,
სოციალური უთანასწორობასა, თუ სხვა მანკიერებასთან ბრძოლისა. ამას
წინარმოების ფინალიც ადასტურებს.

მთავარი: გერმონ ბენ ორენმა წარმოგვიდგინა ქართველი ებრაელობის ყო-
ფის ერთი მონაკვეთი. ეს კი მნიშვნელოვანია.

სატელეფონო ზარი

ხუხო ხშირად მირეკავდა და რატომღაც არა-რა უხერხულობას არ გრძნობ-
და იმის გამო, რომ გვიან ღამით რეკავდა. ერთხელ ნახევრად ხუმრობით,
ვკითხე: „ნაშუალამევს რაომ რეკავ, შენი ტელეფონი, დღისით, ან საღამოს არ
მუშაობს?“

ერთ ღამეს კი აღმფოთებული რეკავს:
— რა არის ეს, რას ჰგავს, ამ უმსგავსობაზე ხმას რატომ არ იღებ — ის-
რაველიდან ვიღაც მიხელაშვილი რომ ჩამოვიდა „ხაბადი“ ვარო, თუ რაღაცა,
ცდილობს ახალგაზრდები რელიგიით დააინტერესოს. იცი სანამდე მივიდა
საქმე? რამდენიმე ებრაელი ბიჭი ქალაქში „კიპით“ დადის, რად მინდა მე,
რაში მჭირდება, თბილისში ახალგაზრდების ამ პატარა, გამოჭრილი ქუდებ-
ით სიარული, ხმას რატომ არ იღებ!

გამეღიმა და მშვიდად ვუთხარი, იარონ, მერე რა მოხდა, ამერიკის, ევრო-
პის ქალაქებშიც ასეა — მაგით არაფერი არ ფუჭდება-მეთქი.

ჩემმა პასუხმა გააღიზიანა, კარგა ხანს ხმაურობდა, არ იქნა და არ და-
ოკდა. თავი იმით დავაღნიე, რომ ვუთხარი, ძალიან გვიანია, მეძინება, ხვალ
ვილაპარაკოთ-მეთქი.

არ ვტყუოდი — ისრაველი არც მიხსენებია — ევროპისა და ამერიკის ქა-
ლაქების მაგალითი გავიხსენე. იქ, მართლაც ხშირად შეხვედებით პანია,
მრგვალად გამოჭრილი ქუდით მოსიარულე ადამიანებს — ახალგაზრდასაც
და ხანდაზმულსაც. თქვენ წარმოიდგინეთ, იმ ქალაქებშიც კი ხშირად შემხ-
ვედრიან, რომლებშიც შესაძლოა ტერორისტთა სამიზნე გახდნენ. გაოცებუ-
ლიც კი ვიყავი: ევროპის ბევრ ქალაქში მუსლიმები მომრავლდნენ, ებრაელე-
ბზე თავდასხმები, მკვლელობებიც კი, გახშირდა და ამგვარი ქუდით ქუჩებში
სიარული ტერორისტთა გამოწვევაც მივიჩნიე.

თბილისში რა, თბილისში ახალგაზრდებისა, თუ ხანდაზმულთა ამგვარი
ქუდით გამოჩენა, არავის არ აღიზიანებს. არათუ, არ აღიზიანებს, ასე
მეჩვენება, სიამოვნებთ კიდევ, რადგან ამ ჭალარა ქალაქს მეტ ელფერს სძენს
— ისედაც კოლორიტულსა და მიმზიდველს, ემხს მატებს.

ეს კი ხმაურობს: რად მინდა, რაში მჭირდება მე თბილისის ქუჩებში ახალ-
გაზრდების „კიპით“ სიარული!

P.S. მორწმუნე ებრაელები ქუჩებში „კიპით“ დადიოდნენ. ხუხოს ეს არ მოე-
წონა და აღმფოთდა. ხუხოს აღმფოთებამ შედეგი გამოიღო — კარგა ხანია
თბილისის ქუჩებში ასე გამოსული ახალგაზრდობა აღარ დამინახავს. რო-
გორც ჩანს, ძლიერ შეეცადა და მიზანსაც მიაღწია.



ნათელა, ილო წინუაშვილები, ოთარ, ნათელა, ფილხაზ, ნონა,
დათა აჯიაშვილები, გურამ, ციალა, მალხაზ ბათიაშვილები,
გეტა და შალვა ბოთერაშვილები, მერი, მერაბ და რუსუდან იზ-
რავლაშვილები, ლეილა და თემურ გაგულაშვილები, რომან,
ბელა მიხელაშვილები, ლანა და გურამ ხარაზიშვილები, ნანა,
გია დავარაშვილები, დათო, ნინო, გია წინუაშვილები ღრმა მწუხ-
არებით იუნყებიან


იმერი (ელიაჰუ) ღავითის-ქა აჯიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებუ-
ლის ოჯახს.

თამაზ, ნოდარ ელიშაკოვები, მანანა ჯანაშვილი ღრმა მწუხ-
არებით იუნყებიან მძახლის —

იმერი (ელიაჰუ) ღავითის-ქა აჯიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებუ-
ლის მეუღლეს, შვილებს, ახლობლებს.

<p>დაგფუქნეპელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57</p>	<p>რეგისტრირებულია ქ. თბილისის ათაფინდის რაიონის სასამართლოს შიპრ. რეგისტრაციის № 4/1-921</p>	<p>რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557  9771987898003</p>
--	--	--